„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი ს. ბვსტაძე
„27“ 09 2024 წ.

ნანა ალექსანდრიას თასი - 2024

ღია და ქალთა ტურნირები ელვისებურ ჭადრაკში

11 - 13 ოქტომბერი 2024 წ.

ქ. თბილისი, ეროვნული სასახლე, რუსთაველის გამზირი 6

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

2. ტურნირები:

2.1. ღია ტურნირი;

2.2. ქალთა ტურნირი;

3. ღონისძიების მართვა:

განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

4. სათამაშო წესები:

4.1. დროის კონტროლი: 3 წუთი პარტიის ბოლომდე, 2 წამის დამატებით ყოველ სვლაზე.

4.2. ტურნირები ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 13 ტურად.

4.3. დაითვლება ფიდეს რეიტინგი ელვისებურ ჭადრაკში.

5. ტურნირში მონაწილეობა და რეგისტრაცია:

5.1. ტურნირებში დაიშვებიან მხოლოდ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრები;

5.2. ტურნირებში მონაწილეობის უფლება აქვთ:

- ფიდეს საერთაშორისო წოდების (GM, WGM, IM, WIM, FM, WFM) მქონე მოჭადრაკეებს;
- ღია ტურნირში 1800 და ქალთა ტურნირში 1600 და მეტი ფიდეს ნებისმიერი (სტანდარტულ, სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში) რეიტინგის მქონე მოჭადრაკეებს (2024 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით);
- ეროვნული სასახლის საჭადრაკო სკოლის მიერ წარმოდგენილ (მოწვეულ) 2 ჭაბუკს და 2 გოგონას.

5.3. ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს გადახდილი 2024 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი **(დანართი 1)** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE30BG0000000584705115**). ხოლო, 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებს კი ასევე, დამატებით შევსებული ელექტრონული ფორმა - https://forms.gle/vJGBfSvyoMGPpAgDA

5.3.მონაწილეებმა ტურნირზე დასარეგისტრირებლად უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/qLkdpJ31G6eKUaKN7 .
რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2024 წლის 10 ოქტომბერი 18:00 საათი.
ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83

5.4. თითოეული მონაწილის ტურნირის საწევრო შესატანია 30 ლარი (უნაღდო ანგარიშსწორებით).
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE34BG0000000129766701**.

5.4. სატურნირო შესატანისგან განთავისუფლებულნი არიან:

- მოჭადრაკეები ფიდეს შემდეგი წოდებებით: GM, IM, WGM, WIM;
- ეროვნული სასახლის საჭადრაკო სკოლის მიერ წარმოდგენილი (მოწვეული) 2 ჭაბუკი და 2 გოგონა.

5.6. მონაწილეთა ცხოვრების, კვების, გზის და სატურნირო შესატანის თანხებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

6. ტურნირების განრიგი:

ტური	რიცხვი	დრო
ჩამოსვლის დღე	11 ოქტომბერი	
გახსნა / მისალმება	12 ოქტომბერი	14:45
I - VII ტური	12 ოქტომბერი	15:00
VIII - XIII ტური	13 ოქტომბერი	15:00
დახურვა	13 ოქტომბერი	17:30

7. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება:

7.1. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

ა) ურთიერთშორის შეხვედრა;

ბ) ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);

გ) ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);

დ) შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;

ე) მოგებების მეტი რაოდენობით.

7.2. ღია და ქალთა ტურნირებში I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან ნანა ალექსანდრიას სახელობის თასით, მედლით, დიპლომით და ფულადი პრიზით; II - III ადგილზე გასულები დაჯილდოვდებიან მედლით, დიპლომით და ფულადი პრიზით;

8. საპრიზო ფონდი:

8.1. ღია და ქალთა ტურნირების ფულადი პრიზი - 7300 ლარი:

ტურნირი	1	2	3	4	5
ღია ტურნირი	1300	900	700	500	250
ქალთა ტურნირი	1300	900	700	500	250

8.2. ყველა პრიზი დაიბეგრება საქართველოში მოქმედი ფინანსური კანონმდებლობის შესაბამისად;

8.3. თანაბარი ქულების შემთხვევაში პრიზები არ გაიყოფა.

8.4. პრიზების მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დასწრება.

9. საერთო წესები:

ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 5 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

10. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

ტურნირის მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი